

ჯორჯიან ექსპრესი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	3-6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	11-27
მმართველობით ანგარიშგება -----	28-32



დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ჯორჯიან ექსპრესი-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯორჯიან ექსპრესი-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან „ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს), პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშგება“-ის წარდგენაზე. „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ „მმართველობით ანგარიშგება“-ს და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:



- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.



- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ბელა ვარდიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-518452)

შპს ბესტ აუდიტი -ს სახელით
თბილისი, საქართველო

23 სექტემბერი 2022 წელი



- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
 - დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.
- დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ბელა ვარდიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-518452)

შპს ბესტ აუდიტი -ს სახელით
თბილისი, საქართველო
23 სექტემბერი 2022 წელი

ბ. ვარდიძე

შპს ჯორჯიან ექსპრესი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	შენიშვნა	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	1	7435256	6962726	5588055
მოკლევადიანი მოთხოვნები	2	2567908	3012338	3532794
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		643	0	18333
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3	434503	303655	604657
წინასწარ გადახდილი		0	0	0
საგადასახადო ზედმეტობა/გადასახდელი გადასახადები	2	0	49567	120224
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	10268	15516	32882
ჯამურად მიმდინარე აქტივები		10448579	10343802	9896944
ფიქსირებული აქტივები	4	5572491	3483031	2680041
არამატერიალური აქტივები		45952	277508	245285
აქტივის გამოყენების უფლება		0	0	0
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		5618443	3760539	2925326
სულ აქტივები		16067022	14104341	12822270
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	627542	542767	748424
მიღებული ავანსები		1499	1688	571
საგადასახადო ზედმეტობა/გადასახდელი გადასახადები		49105		
გადასახდელი ხელფასი		0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0	0
მოკლევადიანი სესხები		0	0	0
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება		0	0	0
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		678146	544455	748995
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სესხები		0	0	0
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ვალდებულება		0	0	0
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		678146	544455	748995
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5000	5000	5000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		15383876	13554886	12068276
გადაფასების რეზერვი			0	0
სულ კაპიტალი		15388876	13559886	12073276
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16067022	14104341	12822270

დირექტორი

პაატა სარიშვილი

2022 წლის 15 ივნისი

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

კობა ჩაკვეტაძე

2022 წლის 15 ივნისი

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

Statement
of
Financial
Position

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	შენიშვნა	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	1	7435256	6962726	5588055
მოკლევადიანი მოთხოვნები	2	2567908	3012338	3532794
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		643	0	18333
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3	434503	303655	604657
წინასწარ გადახდილი		0	0	0
საგადასახადო ზედმეტობა/გადასახდელი გა	2	0	49567	120224
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	10268	15516	32882
ჯამურად მიმდინარე აქტივები		10448579	10343802	9896944
ფიქსირებული აქტივები	4	5572491	3483031	2680041
არამატერიალური აქტივები		45952	277508	245285
აქტივის გამოყენების უფლება		0	0	0
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		5618443	3760539	2925326
სულ აქტივები		16067022	14104341	12822270
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება მიწოდებიდან	5	627542	542767	748424
მიღებული ავანსები		1499	1688	571
საგადასახადო ზედმეტობა/გადასახდელი გადასახადე		49105		
გადასახდელი ხელფასი		0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0	0
მოკლევადიანი სესხები		0	0	0
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება		0	0	0
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		678146	544455	748995
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სესხები		0	0	0
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ვალდებულება		0	0	0
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		678146	544455	748995
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5000	5000	5000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		15383876	13554886	12068276
გადაფასების რეზერვი			0	0
სულ კაპიტალი		15388876	13559886	12073276
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16067022	14104341	12822270

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

15 ივნისი 2022 წელი



[Handwritten signature]

შპს ჯორჯიან ექსპრესი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

სრული შემოსავლების ანგარიში	შენიშვნა	12/31/2021	12/31/2020
ამონაგები		20529437	17629680
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(274)	(5)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან		20529163	17629675
სხვა საოპერაციო შემოსავლები		0	1445
სულ საოპერაციო შემოსავლები:		20529163	17631120
ხელფასი		(4310664)	(4065576)
ამორტიზაცია		(226103)	(234319)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(1277681)	(1116117)
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა		(10366083)	(9219774)
სხვა ხარჯები		(663186)	(519366)
სულ საოპერაციო ხარჯები:	6	(16843717)	(15155151)
საპროცენტო შემოსავლები		2869	2948
არასაოპერაციო მოგება		610902	1564357
დადებითი საკურსო სხვაობები		10882	16246
განსაკუთრებული შემოსავლები		755505	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		88836	124611
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	7	1468996	1708162
ფინანსური დანახარჯები		(1020521)	(336905)
ჯარიმები და საურავები		0	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(12164)	(453061)
განსაკუთრებული ხარჯები		(291806)	(163344)
სხვა		0	0
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	8	(1324490)	(953310)
მოგება დაბეგვრამდე:		3829951	3230821
მოგების გადასახადის ხარჯი			0
დივიდენდი		(2000960)	(1744211)
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან			0
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	9	1828990	1486611
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი			0
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		1828990	1486611
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		1828990	1486611

დირექტორი

პაატა სარიშვილი

2022 წლის 15 ივნისი

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

კობა ჩაკვეტაძე

2022 წლის 15 ივნისი

სრული შემოსავლების ანგარიში

სრული შემოსავლების ანგარიში	შენიშვნა	12/31/2021	12/31/2020
ამონაგები		20529437	17629680
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვ		(274)	(5)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან		20529163	17629675
სხვა საოპერაციო შემოსავლები		0	1445
სულ საოპერაციო შემოსავლები:		20529163	17631120
ხელფასი		(4310664)	(4065576)
ამორტიზაცია		(226103)	(234319)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(1277681)	(1116117)
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა		(10366083)	(9219774)
სხვა ხარჯები		(663186)	(519366)
სულ საოპერაციო ხარჯები:	6	(16843717)	(15155151)
საპროცენტო შემოსავლები		2869	2948
არასაოპერაციო მოგება		610902	1564357
დადებითი საკურსო სხვაობები		10882	16246
განსაკუთრებული შემოსავლები		755505	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		88836	124611
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	7	1468996	1708162
ფინანსური დანახარჯები		(1020521)	(336905)
ჯარიმები და საურავები		0	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(12164)	(453061)
განსაკუთრებული ხარჯები		(291806)	(163344)
სხვა		0	0
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	8	(1324490)	(953310)
მოგება დაბეგრამდე:		3829951	3230821
მოგების გადასახადის ხარჯი			0
დივიდენდი		(2000960)	(1744211)
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან			0
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	9	1828990	1486611
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალ			0
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		1828990	1486611
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		1828990	1486611

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

15 ივნისი 2022 წელი



Handwritten signature in blue ink.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12/31/21	12/31/20
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	18739572	15837295
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	57204	40436
საბაჟო	(192614)	(96729)
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12495907)	(10731582)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(114012)	(213351)
სამიწვლინებო ხარჯების ანაზღაურება	(93383)	(78070)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხა	0	0
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	0	(3000)
გადახდილი გადასახადები	(1945678)	(1564557)
გადახდილი საპენსიო გადასახადი	(139245)	(109554)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(1071743)	(272928)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	2744194	2807961
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(1140731)	(868722)
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	94700	29334
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	0	0
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი	0	0
მიღებული პროცენტები	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(1046031)	(839388)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან	0	0
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	0	0
სესხების აღება	0	0
სესხების დაფარვა	4986.00	0
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	0	0
გადახდილი პროცენტები	0	0
გადახდილი დივიდენდები	(1770000)	(1657000)
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	537400	1499063
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(1227614)	(157937)
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა / კლება (ნეტო)	1981	(435964)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	472530	1374671
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	6962726	5588055
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	7435256	6962726

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

პაატა სარიშვილი

კობა ჩაკვეტაძე

2022 წლის 15 ივნისი

2022 წლის 15 ივნისი

თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12/31/21	12/31/20
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	18739572	15837295
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	57204	40436
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(12495907)	(10731582)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(114012)	(213351)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(93383)	(78070)
გადახდილი გადასახადები	(1945678)	(1564557)
გადახდილი საპენსიო გადასახადი	(139245)	(109554)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(1071743)	(272928)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	2744194	2807961
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(1140731)	(868722)
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემო	94700	29334
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	0	0
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი	0	0
მიღებული პროცენტები	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(1046031)	(839388)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების იმისიისაგან / აპირალოს ზრდისაგან	0	0
სესხების აღება	0	0
სესხების დაფარვა	4986.00	0
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	0	0
გადახდილი პროცენტები	0	0
გადახდილი დივიდენდები	(1770000)	(1657000)
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	537400	1499063
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(1227614)	(157937)
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა / კლება (ნეტო)	1981	(435964)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	472530	1374671
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის	6962726	5588055
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	7435256	6962726

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

15 ივნისი 2022 წელი



[Handwritten signature]

შპს ჯორჯიან ექსპრესი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	საემისიო/ დამატები თი კაპიტალ ი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	გადაფ ა- სების რეზერ ვები	სხვა სრულ ი შემოს ავალი	კაპიტა ლი არამაკო ნტ. წილის გარეშე	არამაკონ- ტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2019-თვის	5000		8641909	0				8646909
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები								
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში			4153735	0				4153735 0
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	0	4153735	0	0	0	0	4153735
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან განაწილებული დივიდენდები			-727368		0		0	0 (727368)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0			0	0	0	(727368)
ნაშთი 01.01.2020-თვის	5000		12068275	0		0	0	12073275
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები								
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში			3230821	0				3230821 0

საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	0	3230821	0	0	0	0	3230821
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					0			0
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა								
მესაკუთრეებისგან								
განაწილებული დივიდენდები			-1744211			0	0	(1744211)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0			0	0	0	(1744211)
ნაშთი 01.01.2021-თვის	5000		13554886	0		0	0	13559886
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული								
კორექტირებები								
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები								
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			3829951					3829951
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები								
ან ზარალი				0				0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან								
ზარალი								
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში								
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	0	3829951	0	0	0	0	3829951
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					0			0
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა								
მესაკუთრეებისგან								
განაწილებული დივიდენდები			-2000960			0	0	(2000960)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	-2000960		0	0	0	(2000960)
ნაშთი 01.01.2022-თვის	5000		15383876	0		0	0	15388876

დირექტორი

პაატა სარიშვილი

2022 წლის 15 ივნისი

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

კობა ჩაკვეტაძე

2022 წლის 15 ივნისი

კაპიტალის ცვლილების ანგარიში	სააქციო / საწესდებ	საემისიო / დამატებ	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი	გად აფა- სები	სხვა სრულ ლი	კაპ იტა ლი	არამ აკონ- ტრო	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2019-თვის	5000		8641909	0				8646909
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებულ	0	0			0	0	0	(727368)
ნაშთი 01.01.2020-თვის	5000		12068275	0		0	0	12073275
საადრიცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები								
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები								
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			3230821					3230821
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი								0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი								
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში								
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრულ	0	0	3230821	0	0	0	0	3230821
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					0			0
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან								
განაწილებული დივიდენდები			-1744211			0	0	(1744211)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებულ	0	0			0	0	0	(1744211)
ნაშთი 01.01.2021-თვის	5000		13554886	0		0	0	13559886
საადრიცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები								
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები								
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			3829951					3829951
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი								0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი								
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში								
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრულ	0	0	3829951	0	0	0	0	3829951
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში								0
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან								
განაწილებული დივიდენდები			-2000960			0	0	(2000960)
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებულ	0	0	-2000960		0	0	0	(2000960)
ნაშთი 01.01.2022-თვის	5000		15383876	0		0	0	15388876

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

15 ივნისი 2022 წელი



Handwritten signature in blue ink.

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

შპს ჯორჯიან ექსპრესი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსდა 1995 წლის 26 დეკემბერს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. საიდენტიფიკაციო ნომერი 201954965. მისი იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზირი 105.

კომპანიის მესაკუთრე:

ეკატერინე არველაძე 100%.
(პ/ნ 01013001927)

გენერალური დირექტორი:

პაატა სარიშვილი
(პ/ნ 01009003054)

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გადაზიდვის მომსახურება.

კომპანიის თანამშრომელთა რიცხვი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა, შესაბამისად, 163 ადამიანს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“მსს ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2021 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და აგრეთვე შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა არ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, როგორც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ისე კომენდატის საათის განმავლობაში, თუმცა ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ მისი საქმიანობა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ძირითადი საშუალებები**აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება. ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან. ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5%
- მანქანა-დანადგარები 15%-20%
- ოფისის აღჭურვილობა 15%-20%
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 20%
- სხვა ძირითადი საშუალებები 15%-20%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 15%

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივებს კომპნია ამორტიზაციას არიცხავს სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი .

კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	31დეკემბერი	31დეკემბერი
	2021	2020
ლარი/1აშშდოლარი	3,5040	3,2766
ლარი/1ევრო	3.0976	4.0233

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2021 წლის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ნასესხები თანხები.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახდი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

თუმცა კომპანია ჯერ-ჯერობით 2017 წლამდე არსებულ გაუნაწილებელი მოგებიდან გასცემს დივიდენდს.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, ე.წ. ესტონური მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1) დივიდენდის განაწილება, 2) სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის, 3) ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 4) გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 5) უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება, 6) წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ. დივიდენდი იბეგრება გადახდის მომენტში, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ იურიდიულ პირზე, არარეზიდენტზე ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოზე. დივიდენდი არ იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაწილდება საწარმოზე, რომელიც გადასულია დაბეგვრის ახალ მოდელზე. იგივე წესები მოქმედებს მიღებული დივიდენდის ხელახლა განაწილებისას. განაწილებული დივიდენდის დაბეგვრისას მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების წელს, თუმცა ორმაგად დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, საწარმოს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ ჩაითვალოს ადრე დარიცხული და გადახდილი ყოველწლიური მოგების გადასახადი 2008-2016 წლების წმინდა მოგების განაწილებისას. კომპანია ჯერ-ჯერობით 2017 წლამდე არსებულ გაუნაწილებელი მოგებიდან გასცემს დივიდენდს.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები

ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული, თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული,

ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება. კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

2.1. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი, ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას, ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის

ხელმძღვანელობას ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ექვეყნებინათ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიას საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

შენიშვნა 1 -ფულადი სახსრები	31.12.2020	31.12.2021
ლარები საბანკო ანგარიშებზე	1 075 176	571345
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	5 819 012	6682639
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	6 894 188	7253984
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	68 538	181272
სულ ფულადი სახსრები	6 962 726	7435256

შენიშვნა 2 - მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2021
გაცემული სესხები	21000	16014
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2991990.73	2551894
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	0
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	0	0
საბაჟო მოთხოვნები	8117	0
სხვა მოთხოვნები	7398.9	10268
საგადასახადო ზედმეტობა (გადასახდელი გადასახადები)	49567.14	0
ჯამურად მოკლევადიანი მოთხოვნები	3 028 507	2578177

შენიშვნა 3 -სასაქონლო მატერიალური მარაგები	31.12.2020	31.12.2021
საქონელი	0.00	0
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	304352.18	434503
ჯამურად	304 352	434503

შენიშვნა 5- კრედიტორული დავალიანება	31.12.2020	31.12.2021
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება	542755.42	627542
გადასახდელი ხელფასები	0	0
მოკლევადიანი სესხები	0	0
მიღებული ავანსები	1688	1499
სულ კრედიტორული დავალიანება	544 443	629041

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთი	შენობა- ნაგებობები	ნაგებობები	დაუმთავრ- ებული მშენებლო ბა	მანქანა- დანადგ- არები	ოფისის აღჭურვი- ლობა	ავიჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01/01/2020 წ.	710255	496996	0	298670	4086	2700656	94794	2541248	6846704
შეძენა 2020	74345	609551	17246	19550	0	97920	26355	422539	1267506
გასვლა 2020	0	0	0	-202062	0	0	0	-33025	-235086
აფასება 2020									
ამორტიზაცია 2020	0	-8150	-210	0	0	-28452	-9237	-188269	-234319
ღირებულება 31/12/2020	784600	1106547	17246	116158	4086	368576	121149	2930763	5625393
აკუმულირებული ამორტიზაცია 2020	0	-15550	-210	0	-192	-61081	-14382	-1980904	-2142362
ნარჩენი ღირებულება 31.12.2020	784600	1090998	17035	116158	3894	307495	106767	949859	3483031
ღირებულება 01/01/2021	1414194	1106547	17246	116158	4086	368576	121157	2062671	5210634
შეძენა 2021	0	175734	0	241568	0	65388	44400	591469	1118560
გასვლა 2021	0	0	0	-51370	0	0	0	-114074	-165444
აფასება 2021	0	0	0	0		0	0	0	0
ამორტიზაცია 2021	0	-25587	-461	0	-380	-38859	-12087	-148729	-226103
ღირებულება 31/12/2021	1414194	1282281	17246	306356	4086	433964	165557	2540066	6163750
აკუმულირებული ამორტიზაცია 2021	0	-63416	-672	0	-1711	-100066	-26530	-398865	-591259
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	1414194	1218865	16574	306356	2374	333898	139027	2141201	5572491

შენიშვნა 6 - საოპერაციო ხარჯები	31.12.2020	31.12.2021
ხელფასის ხარჯები	4065576	4310664
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	164289	152607
საოფისე ხარჯები	52744	51968
საგადასახადო ხარჯები	44147	50036
საკანცელარიო საქონელი	31949	23063
ბანკის მომსახურების საკომისიო	45940	62132
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	59161	76909
რემონტის ხარჯი	298386	438664
მივლინების	88378	96777
იჯარის ხარჯი	152042	145200
დაზღვევა	5297	8635
წარმომადგენლობითი ხარჯი	8684	0
ცვეთა და ამორტიზაცია	234319	226103
გადაზიდვის ხარჯი	8147078	9153394
რეკლამის ხარჯი	48832	58911
საწვავის ხარჯი	470533	604020
მომსახურებასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ხარჯები	1072697	1227038
სხვა ხარჯი	165100	157594
სულ საოპერაციო ხარჯები	15155151	16843717

შენიშვნა 7 - არასაოპერაციო შემოსავლები	31.12.2020	31.12.2021
ფინანსური შემოსავალი	1564357	610902
დადებითი საკურსო შემოსავალი	16248	10883
საპროცენტო	2948	2869
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები/საჩუქრები და სხვა/	124610	88835
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	1708162	713490

შენიშვნა 8 - არასაოპერაციო ხარჯი	31.12.2020	31.12.2021
საპროცენტო ხარჯები	0	0
საკურსო უარყოფითი	336905	1020392
კონვერტაციის ხარჯი	453061	23824
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	163345	280275
სულ არასაოპერაციო ზარალი	953310	1324491

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა**(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31.12.2020	31.12.2021
ფული და ფულადი ექვივალენტები	6 962 726	7435256
მოკლევადიანი მოთხოვნები	3 007 507	2562163
გაცემული სესხები	21 000	16014
სულ ფინანსური აქტივები	9 991 233	10013432

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2021
კრედიტორული დავალიანება	544 443	629041
გადასახდელი გადასახადები	0	0
გრძელვადიანი სესხები	0	0
სულ ფინანსური ვალდებულებები	544 443	629041

გ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუმწელებს ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის:

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები					
ფული და ფულადი ექვივალენტები	7435256				7,253,984
მოკლევადიანი მოთხოვნები		2,568,552			2,562,163
გაცემული სესხები	16014				16,014
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე					0
ვალდებულებები					0
კრედიტორული დავალიანება		(629,041)			(629,041)
გადასახდელი გადასახადები	(49105)				(49,105)
გრძელვადიანი სესხები					0
ლიკვიდურობის პოზიცია	7402165	3,191,203	0	0	9154015

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	752617	4 885658	1796981	7435256
მოკლევადიანი მოთხოვნები	2562163			2562163
გაცემული სესხები	16014			16014
ვალდებულებები				0
კრედიტორული დავალიანება	(629041)			(629041)
გადასახდელი გადასახადები	(49105)			(49105)

მოკლევადიანი სესხები	0			0
	2652648	4 668 231	1 150 781	9335287

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისათვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

იჯარები**2019 წლიდან გამოყენებული პოლიტიკა**

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაძღაურების სანაცვლოდ. ამის შესაფასებლად კომპანია ფასს 16-ს განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება 2019 წლის იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დადებულ ხელშეკრულებებზე. კომპანიამ ფინანსურ იჯარად არ დააკვალიფიცირა იჯარის ხელშეკრულებები.

„მსს ფასს“-ს თანახმად იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ:

ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

(ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;

(გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;

(დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას;

(ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირების შედეგად მიღებული თანხა არ წარმოადგენს ობიექტის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას. ამგვარი საიჯარო ხელშეკრულებები აღიარებულია საოპერაციო ხარჯად.

პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული, ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიაში მიმდინარეობდა საქმიანობის კამერალური შემოწმება, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 ივლისს.

ახალი და გადასინჯული IFRS სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის პერიოდისათვის გამოცემულია რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ❖ ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები
- ❖ ფასს 10 და ბასს 28 (შესწორებები) - აქტივების შენატანების გაყიდვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.
- ❖ ფასს 3 - ს კორექტირებები - ბიზნესის განმარტება
- ❖ ბასს 1-ისა და ბასს 8 -ის კორექტირებები - მასალის განმარტება
- ❖ კონცეპტუალური ჩარჩო - ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩაჩოებთან დაკავშირებული მითითებების ცვლილებები.

22. სასამართლო პროცესები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავა:

გადახდის უუნარობის საქმისწარმოება, არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები					
N ^o	საქმის განმხილველი სასამართლო	საქმის № და თარიღი	შპს ჯორჯიან ექსპრესის (ს/ნ: 201954965) აღიარებული/ასაღიარებელი მოთხოვნა	გადახდის უუნარო კომპანია	განხილვის ეტაპი და მოსალოდნელი სასამართლო შედეგები
1	ქუთაისის საქალაქო სასამართლო, მოს.: გ. დიდავა	საქმე N2/489-19 27.03.2019 წ.	აღიარებული მოთხოვნა: 149.78 ლარი	სს ვანრიკ აგრო, ს/ნ: 445457540	მიმდინარე განხილვა, თანხის ანაზღაურება დამოკიდებულია გადახდის უუნარობის რეჟიმში მყოფი საწარმოს სანაციაზე ან/და ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის კრედიტორებზე განაწილების რეალურ შესაძლებლობებზე
2	თბილისის საქალაქო სასამართლო, მოს.: ვ. დობორჯგინიძე	საქმე N2/22943-19 18.11.2019წ .	ასაღიარებელი მოთხოვნა: 459.46 ლარი	შპს ჯი ენდ ეი ლოჯისტიკისერვისი, ს/ნ: 405124477	მიმდინარე განხილვა, თანხის ანაზღაურება დამოკიდებული იქნება გადახდის უუნარობის რეჟიმში მყოფი საწარმოს სანაციაზე ან/და ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის კრედიტორებზე განაწილების რეალურ შესაძლებლობებზე
3	თბილისის საქალაქო სასამართლო, მოს. ს. ლუწკაია	საქმე N2/24776-17 25.09.2017	აღიარებული მოთხოვნა: 33.60 ლარი	შპს პროგრესი, ს/ნ: 216297479	მიმდინარე განხილვა, თანხის ანაზღაურება დამოკიდებულია გადახდის უუნარობის რეჟიმში მყოფი საწარმოს სანაციაზე ან/და ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის კრედიტორებზე განაწილების რეალურ შესაძლებლობებზე
4	თბილისის საქალაქო სასამართლო, კოლეგია, მოს.: ს. ლუწკაია	საქმე N2/15001-19 26.07.2019წ .	აღიარებული მოთხოვნა: 5088.58 ლარი	შპს ფბ - დისტრიბუცია, ს/ნ: 406038988	მიმდინარე განხილვა, თანხის ანაზღაურება დამოკიდებულია გადახდის უუნარობის რეჟიმში მყოფი საწარმოს სანაციაზე ან/და ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის კრედიტორებზე განაწილების რეალურ შესაძლებლობებზე

5	თბილისის საქალაქო სასამართლო, მოს. ს. დურწკაია	საქმე N2/622-19 30.01.2019წ	აღიარებული მოთხოვნა: 1339.20 ლარი	შპს ტექნო ბუმი ს/ნ: 205286199	მიმდინარე განხილვა, თანხის ანაზღაურება დამოკიდებულია გადახდის უუნარობის რეჟიმში მყოფი საწარმოს სანაციაზე ან/და ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის კრედიტორებზე განაწილების რეალურ შესაძლებლობებზე
6	თბილისის საქალაქო სასამართლო, მოს.: მ. კუთხაშვილი	საქმე N2/19576- 20 28.09.2020წ	თანხის დაკისრება 11 606.62 ლარი	შპს ომეგა, ს/ნ: 245422608	მიმდინარე განხილვა, თანხის ანაზღაურება დამოკიდებულია გადახდის უუნარობის რეჟიმში მყოფი საწარმოს სანაციაზე ან/და ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის კრედიტორებზე განაწილების რეალურ შესაძლებლობებზე
7	თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, მოს.: ს. დურწკაია	საქმე N2/22569- 19 25.09.2019	აღიარებული მოთხოვნა: 1402.33 ლარი	შპს უშბა დისტილ ერი, ს/ნ: 205011262	მიმდინარე განხილვა, თანხის ანაზღაურება დამოკიდებულია გადახდის უუნარობის რეჟიმში მყოფი საწარმოს სანაციაზე ან/და ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხის კრედიტორებზე განაწილების რეალურ შესაძლებლობებზე

დანართი # 2 მიმდინარე იძულებითი აღსრულება (არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები)

№	სააღსრულებო ბიუროში საქმის დაწყების დრო	კრედიტორი	მოვალე	აღსასრულებელი თანხა და სასამართლოს გადაწყვეტილება	შენიშვნა
1	28.04.2018 წ.	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ენ-დუო- კონცეპტ, ს/ნ: 4000100216	21 438.14 ლარი/აღსასრულებე ლი აქტი- გადახდის ბრძანება #SP180185589/401047	სტატუსი: პასიური, მოვალეს არ გააჩნია ქონება, შეყვანილია მოვალეთა რეესტრში
2	03.12.2019 წ.	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს აკირა, ს/ნ: 446957482	17 816.91 ლარი, სასამართლოს გადაწყვეტილება - 27.09.2018 წ.	მიმდინარე, ვერ ბარდება აღსრულებლის წინადადება
3	04.03.2020	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს გერასკა ს/ნ: 405145882	4087.62 ლარი/ აღსასრულებელი აქტი - გადახდის ბრძანება #SP190540044/719727	მიმდინარე, წარდგენილი აქვს ნულოვანი ქონება, მოვალეთა რეესტრშია რეგისტრირებული

დანართი # 3: უდავო წარმოების საქმეები აღსრულების ეროვნულ ბიუროში
(გადახდის ბრძანების გამოცემის და აღსასრულებლად მიქცევაზე სააპლიკაციო წარმოება),
არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები

№	რეგისტრაციის №	აპლიკანტი	რესპოდენტი	გადახდის ბრძანების აღსრულებაში მისაქცევი თანხები	შენიშვნა
1	SP210504773/204773 25.05.2021 16:39	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს არჩილ მჭედლიძის იურდიული კომპანია, ს/ნ: 400027154	3823 ლარი	მიმდინარე განხილვა
2	SP201086998/186998 07.10.2020 11:53	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ჯი-ბი-ეს, ს/ნ: 404449236	13336.94 ლარი	მიმდინარე განხილვა
3	SP200883314/183314 20.08.2020 17:01	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს გენეზის ჯგუფი, ს/ნ:405171399	2046.70 ლარი	მიმდინარე განხილვა
4	SP200883346/183346 21.08.2020 13:58	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს აზნაური, ს/ნ: 404523342	8784.85 ლარი	მიმდინარე განხილვა
5	SP191168940/168940 15.11.2019 17:14	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს თ. და ბ., ს/ნ: 400184117	3153.58 ლარი	მიმდინარე განხილვა
6	SP190335121/135121 26.03.2019 11:49	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ექსტრა ჯი, ს/ნ: 405171905	1746.04 ლარი	მიმდინარე განხილვა
7	SP190335124/135124 26.03.2019 11:54	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ექსტრა ჯი, ს/ნ: 405171905	1003 ლარი	მიმდინარე განხილვა
8	SP191168929/168929 15.11.2019 17:00	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ექსტრა ჯი, ს/ნ: 405171905	925.45 ლარი	მიმდინარე განხილვა
9	SP190333466/133466 11.03.2019 12:40	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ექსტრა ჯი, ს/ნ: 405171905	1189.90 ლარი	მიმდინარე განხილვა
10	SP191168936/168936 15.11.2019 17:07	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ჯი თი ჯი, ს/ნ: 4001500206	5300.82 ლარი	მიმდინარე განხილვა
11	SP180397165/97165 26.03.2018 15:05	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ეი ჯი ტრანსპორტ ენდ დეველოპმენტ ლტდ წარმომადგენლობა, (ვილიალი), ს/ნ: 405070630	2452.09 ლარი	მიმდინარე განხილვა
12	SP190333483/133483 11.03.2019 13:21	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	სოუ ფესტივალი, ს/ნ: 404512835	21 488.64 ლარი	მიმდინარე განხილვა

13	SP190853246/153246 07.08.2019 17:00	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ვიპონი, ს/ნ: 402018259	1166 ლარი	მიმდინარე განხილვა
14	SP190333480/133480 11.03.2019 13:13	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ტალიკა, ს/ნ: 400102063	481.19 ლარი	მიმდინარე განხილვა
15	SP190335126/135126 26.03.2019 11:58	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ავგია, ს/ნ: 445477118	5262.61 ლარი	მიმდინარე განხილვა
16	SP190333474/133474 11.03.2019 13:04	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს მეგი, ს/ნ: 204980592	12100 ლარი	მიმდინარე განხილვა
17	SP180815526/115526 17.08.2018 15:10	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს გლ ტრანსი, ს/ნ: 205265899	3100 ლარი	მიმდინარე განხილვა
18	2018 წ.	შპს ჯორჯიან ექსპრესი, ს/ნ: 201954965	შპს ტრეიდ პრო ს/ნ 20525939	6061 ლარი	

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ მოვლენებს.

მმართველობითი ანგარიშგება

31 დეკემბერი 2021

შინაარსი:

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა	3
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები	3
3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა	4
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ	4
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები	5
6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ	5
7. კომპანიის მთავარი რისკები და მართვის მექანიზმები.....	5

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა

შპს „ჯორჯიან ექსპრესი“ თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. შპს „ჯორჯიან ექსპრესი“ არის ოფიციალური აგენტი საქართველოში დი ეიჩ ელ ექსპრესისა და დი ეიჩ ელ გლობალ ფორვარდინგის. კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 1995 წლიდან. კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო საჰაერო, სახმელეთო და სარკინიგზო გადაზიდვა, ასევე შიდა გადაზიდვა და საბროკერო მომსახურება. კომპანია „ჯორჯიან ექსპრესი“ თავის ისტორიას 1995 წლიდან იწყებს. დღეს ის საქართველოს ბაზარზე ერთერთი ლიდერი გადამზიდავი კომპანიაა. ამ წარმატებისკენ მიმავალი გზა, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად ქვეყნისთვის ყველაზე არამდგრად პერიოდზე გადიოდა, არ იყო მარტივი კომპანიისთვის, თუმცა „ჯორჯიან ექსპრესმა“, მოიპოვა DHL Express-ისა და DHL Global Forwarding-ის ოფიციალური აგენტის სტატუსი საქართველოში. ახლად დაფუძნებულმა კომპანიამ, დასაწყისშივე დაამკვიდრა მომსახურების მაღალი ხარისხის სტანდარტი გადაზიდვებში, გაიზიარა რა, ევროპელი კოლეგების გამოცდილება და გერმანული სიზუსტე მიწოდების უწყვეტ ჯაჭვში. ქვეყნის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა „ჯორჯიან ექსპრესიც“ და დღეს, ის აერთიანებს 193 კვალიფიციურ თანამშრომელს თბილისისა და რეგიონების 18 ფილიალში და მიწოდების ქსელით ფარავს მთელ საქართველოს.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

ჩვენი ამოცანაა ჩვენს მომხმარებელს გავუადვილოთ ცხოვრება ისეთი აჩქარებული რიტმის პირობებში, რომელიც 21-ე საუკუნეს ახასიათებს. მათი დროისა და ფინანსური რესურსის დაზოგვის მიზნით ჩვენი გუნდი მუდმივად ცდილობს შექმნას კიდევ უფრო მეტად მოქნილი სერვისი ტვირთის ტრანსპორტირებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხების სწრაფად და ხარისხიანად მოსაგვარებლად. „ჯორჯიან ექსპრესში“ ეტაპობრივად ხდება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა და მათი პროფესიული განვითარება, მუდმივად

ხორციელდება ავტოპარკის განახლება და კონტროლი. დაწყებულია მუშაობა პროექტზე, რომლის თანახმადაც, უახლოეს პერიოდში, „ჯორჯიან ექსპრესს“ ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბაზა თბილისში, რომელიც, ერთ დიდ სივრცეში, თავს მოუყრის კომპანიის ყველა დეპარტამენტს საბაჟო-საბროკერო და სასაწყობო-სატერმინალო ლოკაციების ჩათვლით. უკვე, დასასრულს უახლოვდება სამშენებლო სამუშაოები და წლის ბოლომდე, ექსპლოატაციაში შევა კომპანიის ახალი ოფისის შენობა ქალაქ ზუგდიდში.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, ერთგვარი ჰაზის ფუნქციას ასრულებს არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის, არამედ როგორც დასავლეთის და აღმოსავლეთის, ასევე ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნების ტვირთების გადაზიდვაში. ცხადია, ამ კუთხით საქართველოს გეოეკონომიკური როლი უმნიშვნელოვანესია. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, ისტორიული „აბრეშუმის გზის“ სატრანზიტო დერეფანში, მნიშვნელოვნად გააქტიურდა ტვირთების ნაკადი. ჩვენს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა, საკვანძო ფუნქცია შეასრულოს და მაქსიმალურად აითვისოს აღნიშნული დერეფნის პოტენციური შესაძლებლობები. ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის ტვირთის გადაზიდვაში „ჯორჯიან ექსპრესის“ ჩართულობა და ამით, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში თავისი წვლილის შეტანა, ჩვენი კომპანიის უმთავრესი ამოცანაა.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია 2021 წლის ბოლოსთვის ფლობდა 18 ფილიალს მთელი საქართველოს მასშტაბით:

1. თბილისი - 3 ფილიალი
2. ქუთაისი - 1 ფილიალი
3. ბათუმი - 2 ფილიალი
4. გორი - 1 ფილიალი
5. ფოთი - 1 ფილიალი
6. თელავი - 1 ფილიალი
7. ახალციხე - 1 ფილიალი
8. ზუგდიდი - 1 ფილიალი
9. რუსთავი - 1 ფილიალი

10. მარტვილი - 1 ფილიალი
11. ოზურგეთი - 1 ფილიალი
12. დუშეთი - 1 ფილიალი
13. საგარეჯო - 1 ფილიალი
14. ამბროლაური -1 ფილიალი

5. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

(ქართულ ლარში)

2021 წელი			
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება	მოც. პერიოდის მოგება/ზარალი
193	20529163	16067022	3829951
2020 წელი			
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება	მოც. პერიოდის მოგება/ზარალი
173	17629680	14104341	3230821

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ

კომპანიას საკუთარი აქციები არ გააჩნია.

7. კომპანიის მთავარი რისკები და მართვის მექანიზმები

„ჯორჯიან ექსპრესი“ კარიდან-კარამდე საფოსტო-საკურიერო მომსახურების და სახმელეთო მძიმე გადაზიდვების სერვისთან ერთად, წარმატებით ახორციელებს სახიფათო და ტემპერატურული რეჟიმის საჭიროების მქონე ტვირთების გადაზიდვას და სრულ საბაჟო-საბროკერო მომსახურებას უწევს როგორც იმპორტირებულ ასევე საექსპორტო ტვირთებს. აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანიას ბაზარზე

გამოარჩევს მომსახურების ხელსაყრელი ფასები. „ჯორჯიან ექსპრესი“ ახერხებს მისაღებ ფასად შექმნას ხარისხის მაღალი სტანდარტი. წარმატებული შიდა გადაზიდვების გვერდით, კომპანია, უკვე 24 წელია, ღირსეულ პარტნიორობას უწევს მსოფლიო ბრენდს - DHL და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხარისხიანად და უსწრაფესად ახორციელებს მისი გზავნილების მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე. ამ თანამშრომლობის საფუძველზე, მომხმარებელს ვთავაზობთ მომსახურების სრულ სპექტრს: საერთაშორისო ექსპრეს გზავნილებს, როგორც ექსპორტს, ასევე, იმპორტს, მძიმე ტვირთების გადაზიდვას საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და სარკინიგზო გზით, გარკვეული სახიფათო ტვირთებისა და ბიოლოგიური მასალების ტრანსპორტირებას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

ქვეყნის ლოგისტიკური კორიდორის პოტენციალის სრულად ასათვისებლად, აუცილებელია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და კონკურენტული გარემოს ფორმირება. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია, უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან, მოხდეს ლოგისტიკის სფეროს დარგობრივი შესწავლა და ახალგაზრდა კადრების გადამზადება ამ მიმართულებით, ვინაიდან, დღეისათვის, ქვეყანა პროფესიონალი კადრების სიმცირეს განიცდის. „ჯორჯიან ექსპრესი“ ზრუნავს კომპანიის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მუდმივად უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგებს და საინფორმაციო სახის შეხვედრებს თბილისსა და რეგიონებში, რომლის დროსაც პერსონალი ეცნობა ინოვაციებსა და ახალ გამოწვევებს გადაზიდვების მსოფლიო ბაზარზე.

ჩვენი მიზანია, მომხმარებელი „ჯორჯიან ექსპრესს“ აღიქვამდეს კომპანიად, რომელიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, ასრულებს ნებისმიერი სახის გადაზიდვას მისაღებ ფასად და გამოირჩევა მომსახურების მაღალი ხარისხით.

გენერალური დირექტორი: პაატა სარიშვილი

თარიღი: 23 სექტემბერი 2022

გამოარჩევს მომსახურების ხელსაყრელი ფასები. „ჯორჯიან ექსპრესი“ ახერხებს მისაღებ ფასად შექმნას ხარისხის მაღალი სტანდარტი. წარმატებული შიდა გადაზიდვების გვერდით, კომპანია, უკვე 24 წელია, ღირსეულ პარტნიორობას უწევს მსოფლიო ბრენდს - DHL და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხარისხიანად და უსწრაფესად ახორციელებს მისი გზავნილების მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე. ამ თანამშრომლობის საფუძველზე, მომხმარებელს ვთავაზობთ მომსახურების სრულ სპექტრს: საერთაშორისო ექსპრეს გზავნილებს, როგორც ექსპორტს, ასევე, იმპორტს, მძიმე ტვირთების გადაზიდვას საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და სარკინიგზო გზით, გარკვეული სახიფათო ტვირთებისა და ბიოლოგიური მასალების ტრანსპორტირებას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

ქვეყნის ლოგისტიკური კორიდორის პოტენციალის სრულად ასათვისებლად, აუცილებელია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და კონკურენტული გარემოს ფორმირება. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია, უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან, მოხდეს ლოგისტიკის სფეროს დარგობრივი შესწავლა და ახალგაზრდა კადრების გადამზადება ამ მიმართულებით, ვინაიდან, დღეისათვის, ქვეყანა პროფესიონალი კადრების სიმცირეს განიცდის. „ჯორჯიან ექსპრესი“ ზრუნავს კომპანიის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მუდმივად უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგებს და საინფორმაციო სახის შეხვედრებს თბილისსა და რეგიონებში, რომლის დროსაც პერსონალი ეცნობა ინოვაციებსა და ახალ გამოწვევებს გადაზიდვების მსოფლიო ბაზარზე.

ჩვენი მიზანია, მომხმარებელი „ჯორჯიან ექსპრესს“ აღიქვამდეს კომპანიად, რომელიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, ასრულებს ნებისმიერი სახის გადაზიდვას მისაღებ ფასად და გამოირჩევა მომსახურების მაღალი ხარისხით.

გენერალური დირექტორი: პაატა სარიშვილი

თარიღი: 23 სექტემბერი 2022

